№20130301 01 მარტი 2013 წელი

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ზოია ხასია

ქალბატონო ზოია,

მოგახსენებთ, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს XX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლა. IDFI წლების განმავლობაში მუშაობს არქივების გახსნილობაზე, არქივებში დაცულ დოკუმენტებთან წვდომის გაზრდაზე, ასევე სახელმწიფო არქივების მოდერნიზებაზე. აღნიშნული მიმართულებით ინსტიტუტი წლებია უკვე აქტიურად თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან (ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივი, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) და განხორციელებული აქვს არაერთი კვლევითი პროექტი.

ამჟამად IDFI მუშაობს საკმაოდ მასშტაბურ კვლევაზე „სტალინის სიები საქართველოზე", რომელიც მოგვითხრობს 1937-1938 წლებში სტალინის რეზოლუციით საქართველოში რეპრესირებულ 3600 ადამიანის შესახებ. კვლევის ფარგლებში, საარქივო მასალებზე დაყრდნობით (უმეტეს წილად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი), შეგროვებულ იქნა ინფორმაციები აღნიშნულ პიროვნებებზე, რომელიც გამოიცემა წიგნის სახით და გარდა რეპრესირებულთა შესახებ ინფორმაციისა, მოიცავს 1937-1938 წლების რეპრესიების შესახებ კვლევას, სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე მრავალ დოკუმენტსა და ფოტო მასალას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გვინდა მოგახსენოთ, რომ XX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად, ისევე, როგორც ისტორიული მეხსიერების შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მასალაა და ფასდაუდებელი ინფორმაციის შემცველია ორთაჭალის ციხის (ყოფილ №1, შემდგომში №5 საპყრობილის) არქივი და იქ დაცული პატიმართა პირადი საქმეები.

2008 წელს მოხდა ორთაჭალის ციხის დემონტაჟი. ჩვენს მიერ მიღებული ინფორმაციით, №5 საპყრობილის არქივი გადატანილ იქნა №8 საპყრობილეში.

ჩვენი კვლევის ფარგლებში, რომელიც ეხება 1930-იანი წლების რეპრესიებს საქართველოში, ძალზედ მნიშვნელოვანია ყოფილ №5 საპყრობილის არქივში დაცული XX საუკუნის 30-40-იანი წლების მასალების გაცნობა და დამუშავება, რომლებიც უნდა მოიცავდეს საქართველოს ისტორიისთვის საკმაოდ ფასეულ ინფორმაციას. ვფიქრობთ, რომ ამ არქივში უნდა იყოს დაცული 1937-1938 წლების რეპრესიების ამსახველი ბევრი ხალი ინფორმაცია.

გთხოვთ, დაგვრთოთ ნება და აღმოგვიჩინოთ დახმარება, რომ ჩვენი ინსტიტუტის მკვლევარები გაეცნონ თქვენს დაქვემდებარებაში არსებულ საარქივო მასალას, რათა მოხდეს აღნიშნული საარქივო დოკუმენტების ჩვენს კვლევაში გამოყენება.

ასევე, გთავაზობთ სამომავლო თანამშრომლობას თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი არქივის დამუშავება-კატალოგიზაციის, მოდერნიზება-გაციფრულების საკითხში, რომელშიც ჩვენ საკმაოდ დიდ გამოცდილებას ვფლობთ.

მადლობას გიხდით წინასწარ დახმარებისთვის.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი